

პარიზული ხანუშა



ვიღრე სალომე ფრანგულ
დარვიშაბადში წაბრძანდებოდეს!

8

ქართული შეურიგებელი ოპოზიციის დასასრული



ზვიად გამსახურდიას
ხელისუფლება დაემხო
ქრემლის მხდლოებით
და კიბოვან-იოსელიანის
ხელით; შევარდნაძის
ხელისუფლება დაემხო
რუსეთ-დასავლეთის
ერთობლივი მხდლოებით
და სააკაშვილის ხელით;
სააკაშვილის ხელისუფლება
დაემხო სააკაშვილისვე
სიბნელით და უკიდურესად
შეუჩინებელი
ქართული ამოვრცხვის
უზენაესი ნებით.



2

ნამჯეზებლები როდის გამოძვრებიან საბალავიდან?

5



ვითომ დააჭრის
პრეზიდენტი ტრამპი
ნაჯახით წვერებს
თავის ბოიარებს?

4

ანა კალანდიაძის საუკუნე

აკადემიკოსი ავთანდილ არაბული



ბიომცემი

14 დეკემბერს პარლამენტის შენობაში
ჩატარებული კენჭისყრის შედეგად 224-მა
დელეგატმა პრეზიდენტად არაპირდაპირი
გზით აირჩია „ქართული ოცნების“ მიერ
დასახელებული ერთადერთი კანდიდატი,
მეცხრე-შეათე მონვევის პარლამენტის
წევრი მიხეილ ყაველაშვილი.
29 დეკემბერს გაიმართება ახალი
პრეზიდენტის ინაუგურაცია.

ანა კალანდიაძე

რომ ფრთებს უფრო რამ ქლიპრად გულიდეთ!

ახლოა უამი შუალამისა,
ცაზე ვარსკვლავი უფლისა
კრთება...
კვდება სრულიად
საქართველოსთვის,
ლოცვით, გალობით,
ახლა ვინც კვდება!
ახლოა უამი, უამი ცისკრისა,
ინვიმებს სისხლი,
დადგება ტბებად...
კვდება სრულიად
საქართველოსთვის,
მამულზე ფიქრით
ვინც ახლა კვდება!
არა გაქრობა, –
აღდგომა მკვდრეთით!
არა დაღევა, –
მრავლობა შვილთა,
რომ... გამოვუსხლტეთ
ისევ ყორანთა
და ფრთებს უფრო რე
ძლიერად ვშლიდეთ!



6



ქართული შეურიგებელი ოპოზიციის დასასრული,

პლასიპური განმარტებით, ლათინური ტერმინი ოპოზიცია (Oppositio) არის ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ მიმართული დაპირისპირება, კამათი, წინააღმდეგობა. ეს „ვინმე“ ან „რაიმე“ შეიძლება იყოს პიროვნება, პოლიტიკური ან სამეცნიერო ჯგუფი; ხელი-სუფლებების, საზოგადოებრივი წარმომადგენლობის რაიმე იდეა; საზოგადოების, ორგანიზაციის, პარტიის შიგნით უმრავლესობის საწინააღმდეგო პოლიტიკის გამტარებელი ადამიანთა ჯგუფი... არც იმის დაგინგება ღირს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ „კონტროლირებადი“ ანუ ფსევდო-ოპოზიციური იდეებით კარგად შენღებული ჯგუფები, რომლებიც სიტყვით ვინააღმდეგებიან უმრავლესობის ქმედებებსა თუ მოძღვრებებს, მაგრამ სინამდვილეში ემსახურებიან მის ინტერესებს, ასრულებენ მის დავალებებს.

საქართველოს უახლესი ისტორიიდან ამგვარი „შავი ოპოზიციის“ კლასიკური მაგალითია **თენგიზ შიშკოვანი**, რომელიც გვარდიის 15000-იან რაზმთან ერთად რკონის ხეობაში გაიჭრა და, საბოლოოდ, **ჯაბა ოსაილიანი**ს თანადგომით, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაც შესძლო. რაც მის ამ საქციელს მოჰყვა, კარგადაა ცნობილი - სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკის გაჩანაგება, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ეჭვქვეშ დაყენება, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის სრული განიავება...

არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კიტოვანი ვარე ძალების მითითებითა და მხარდაჭერით მოქმედებდა. დიდი პრობლემა არც ამ „ვარე ძალის“ გამოცხადება უნდა იყოს - ქვეყანა, ვინც ერთგულება დაუფასა, არმიის გენერლის ჩინი უბოძა და საქართველოდან გაძევების შემდეგ, მოსკოვში თავშესაფრითაც დააჭილდოვა.

1938 წელს დაბადებულმა თენგიზ კიტოვანმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მხატვარ-დეკორატორის სპეციალობით; უავტორიტეტო „ძველი მიჯი“, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ 1971 წელს მონაწილეობდა ერთ-ერთი ასევე ნაკლებად ავტორიტეტული „ძველი მიჯის“ მკვლევარობაში, რის გამოც სასტიკად აგო პასუხი, როგორც კანონის, ასევე მოკლულის ნათესავეებისა და მეგობრების წინაშე. პირადად იცნობდა და მეგობრობდა კიდევ ზვიად გამსახურდიასთან. ამ მეგობრობის წყალობით და, სავარაუდოდ, საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (**КГБ**) დავალებით, 80-იანი წლების მეორე ნახევარში მოახერხა



ანუ

ნუფნუფი, ნიფნიფი, ნაფნაფი და გახარია.

„ეროვნულ მოძრაობასთან“ დაახლოება. მისი გამარჯვების შემდეგ იკავებდა მაღალ თანამდებობებს, როგორც გამსახურდიას, ისე შევარდნაძის ხელისუფლებებში; აფხაზეთის ომის მთავარი ინსპირატორი; 1996 წელს „ბატია“ კიტოვანი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის კიდევ ერთხელ დააპატიმრეს და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს; სამი წლის შემდეგ პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეინყა და საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა; გარდაიცვალა თბილისში, 85 წლის ასაკში.

ახლა, ძალიან მოკლედ, კიდევ ერთი კარგად ნაცნობი „მოღვაწის“ ბიოგრაფია გავისხენოთ და მერე იქნებ დასკვნებშიც ერთად გამოვიტანოთ. მაშ ასე, **გიორგი გახარია**: დაიბადა 1975 წელს თბილისში; დაამთავრა თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტი და მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტი; 2004-2006 წლებში იყო მოსკოვის **SFK Group**-ის გენერალური დირექტორი; 2006-2009 წლებში - მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის ფაკულტეტის

მინველი ლექტორი; 2008 - 2013 წლებში - Lufthansa Service Holding AG, LSG, Frankfurt am Main, Germany GR & ბიზნესის განვითარების დირექტორი აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ს ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში; საქართველოშია 2013 წლიდან; განვლო გზა ბიზნეს-ომბუდსმენობიდან პარლამენტის წევრობამდე და პრემიერ-მინისტრობამდე შს მინისტრობის გავლით; 2020 წლის არჩევნებში იყო პირველი ნომერი „ქართული ოცნების“ სიაში; 2021 წლის თებერვალში მოულოდნელად გადადგა პრემიერობიდან, ოფიციალური საბაბი - სასამართლოს მიერ ნიკა მელიასთვის პატიმრობის შეფარდება; ნაცმოძრაობის აქტივისტებისგან შექმნა პოლიტიკური პარტია „გახარია საქართველოსთვის“; ამჟამად ცხოვრობს თბილისში, აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში!

იმედია, დაინახეთ, რომ „ბატია“ კიტოვანისა და გახარია გახარია (სხობრების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება რუსეთს. არც იმის დანახვა გაგიძლავდებოდათ, რომ მათი „ქართული მოღვაწეობა“ საკამათოაო ანულოვობის, პოლიტიკური და სახელმწიფო დაპირისპირების შექმნის ემსახურებოდა და ემსახურებდა. არის მნიშვნელოვანი განსხვავება - კიტოვანი იყო პრიმიტიული მთავროვნებასწინააღმდეგო, გახარია კი - საპროტესტო ინტელექტუალური ღრისა. თუმცა, „გახარია“ კრემლის დავალებას „ბატია“ შინაგულადად შეასრულა, გახარია კი გასაქმებული ჯერ კიდევ გენი აქვს - გიორგი, პრემიერობიდან გადადგომა და კოლექტიურ ნაცნობობის მსდებოდა ცოცხალ ნაადრავად მოუხილა.

კიდევ ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი - პარტია „გახარია“ ვერა და ვერ გამოიხატა საერთო ენა კოლექტიურ ნაცნობობისთან (სწორედ ის ნაფნაფი, ნიფნიფი, ნუფნუფი). მიზეზი ნათელია: კრემლისა და უჩინარი „დასავლელი მეგობრების“ მიზნები და, შესაბამისად, მოთხოვნებიც, რადიკალურად განსხვავებულია.

ღვთისგან მომადლებული ინტელექტის პატრონ გახარიას ამ ინტელექტის გამოყენების ნიჭიც რომ დაეყოლოდა, ქართულ ოპოზიციურ სარბიელზე წარმატების მოპოვება არ უნდა გასჭირვებოდა. გუერი არაფერი - „კარგ ხაზედ“; „კარგ ალევოდ“ ან „კარგ ლიკა ხოშტარიად“ აღზევებაზე კი არა, ნამდვილი, კონსტრუქციული ოპოზიციის შექმნაზე უნდა ეფიქრა. იმგვარი ოპოზიციისა, რომელიც მტრ-ნაკლები ობიექტურობით აფასებს ხელისუფლების სწორ ნაბიჯებს და ინიციატივებს, ხედავს მიღწეულ წარმატებებს, თვითონაც



„ვატარდაბის ომი“ თბილისში 2024 წლის დეკემბერი



დანგრეული პირველი ბიზნაზი და კავშირგაბგეულობის სახლი 1991 წლის „თბილისის ომი“

აქციაზე, რომელიც თბილისში უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს, ზოგიერთები აპოლიტიკურს უწოდებენ, თუმცა, გამოსვლები არჩევანის გაყალბების, არჩევანის წართმევის გამო დაიწყო და ევროპული მომავლის დაკარგვის საფრთხის თავიდან აცილების საშუალებად გავრცელდა, რომელსაც მერე ინტერპრეტაციები კიდევ მიემატა და ახლა, მგონი, უმთავრესი „ოლიგარქის“ ქვეყნიდან გაქცევაა.

მომიტინგეები აცხადებენ: სად ხედავთ პოლიტიკოსებს, აქ ახალგაზრდები დგანან, პოლიტიკოსებს მიკროფონებსაც არ უთმობენო. რა თქმა უნდა, ამსურდია იმის მტკიცება, რომ აქციები პოლიტიკური არაა, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი პრეტენზიები მინდვრის ყვეაღების კრებაში ხელის შეშლა არ არის, არამედ წმინდად პოლიტიკური მოთხოვნებია, რომელიც, ცხადია, არ შეიძლება სპონტანურად გაჩენილიყო სტუდენტი ახალგაზრდების გონებაში.

სამოქალაქო ომია ქვეყანაშიო, წამოსცდა ვიღაცას!..

სამოქალაქო ომი მიმდინარეობს თურმე ახალგაზრდა თაობასა და სახელმწიფოს შორის. სხვა მხარე არ არსებობს – ახალგაზრდები ეომებიან ხელისუფლებას.

ომში იღვწენ ყმაწვილები, უფროსებს კი ბალიშზე ეძინოთ, ასეთი რამ არ გამოიგონია.

ეს მხოლოდ აქ ხდება, საქართველოში.

ბული წერდა სოციალურ ქსელში, ევროპას მე მასწავლით თქვენ თქვე, გლახებო?

ეს კაცი თავს ინტელიგენტად თვლის, იმის მიუხედავად, რომ ინტელიგენტობა ახლა მოდაში აღარაა, რადგან მათნაირ მოაზროვნეთა წარმოდგენაში, ინტელიგენტი ეგონათ ნინოშვილის მოთხოვნების გამორეკით გასაცოდავებული, ზომიერად გულგრილი, საკუთარ ორლობეს ვერგაცდენილი, ხელმოყარული კაცის სინონიმია. ამ კაცს კი მაინც „ინტელიგენტობა“ უნდა, მწერლობა დაუჩემებია და გაიძახის: ევროპა რომ არ გინდათ და სექსუალური სიმბოლოების სამომლოდ რომ წარმოგიდგენიათ, ევროპა არის კულტურაო; მხატვრობა, მწერლობა, ლუკრი, ვატიკანი და ასე შემდეგო, თქვენ კიდევ, რა სულ ცისფერები და ვარდისფერები გელანდებოთ, ევროპაში ნაცხოვრები კაცი ვარ და კარგად მომხსენება ეს ყველაფერი. ევროპას ითხოვენ ჩვენი ბავშვები და ახალგაზრდები, თქვენ კი უხმობთ გზას და უზენაესად გონებასო.

ამ კაცს და სხვა მისნაირ კაცებს,



სამხრეთის რეჟიმის გამოძვრების საშუალება?

ნინოშვილი რომ გაქცეს.

სამხრეთის რეჟიმის მიხედვით, რომელიც ხელისუფლებაში სისხლით და სისხლზე მოსული ადამიანები არიან გასული საუკუნის 90-იანებიდან, ზოგი იმ 90-იანელების შთამომავლები არიან, რომელთა ცხოვრების და ნამოქმედარის განსჯა არ მომხდარა, არც ავგისტოს ომში ჩვენი ყმაწვილების ჩახოცვისთვის დასჯილი ვინმე, არც სამხრეთის სოფლების იმავე რუსებისთვის პირდაპირ მიყიდვისთვის და ა.შ და ა.შ. ამიტომ ფიქრობენ, თუ საქართველოში სტაბილურობა დადგა, შესაძლოა, მოვიდეს დრო და ვინმემ შეაფასოს ჩვენი ძველი ცოდვები, რბევა, კვლა, სამოქალაქო ომის დროს ჩვენი და ჩვენი წინაპრების იარაღიანი თარები. მოდი, ივივეს გავამოვრებინებთ მომავალ თაობებს, რომ ჩვენ პასუხისმგებლობა ავირიდოთო!

ყოველივე ამას ვითომ ევროპული მომავლის დახმობის ტრავიზმით ფარავენ და აქვებენ ბავშვებს, რომლებმაც, სინამდვილეში, სულაც არ იციან, რას ნიშნავს ევროკავშირი და ევროინტეგრაცია, რადგან ეს ძირფესვიანად არაფერ არ აუხსნა მათ...

სოფლიოს ისტორიაში არ არსებობს ფაქტი, ქვეყნის პოლიტიკური ვექტორების ცვლა უწვევრულვაშო ყრმებს განეხორციელებინოთ და ცხადია, არც ამ შემთხვევაში მოხდება ეს. არც იყო ეს თავიდანვე ნავულისსემი და მათგან, რომლებიც 2012 წლიდან არაერთხელ შეეცადნენ სახელმწიფოებრიობის საძირკვლის შეწყვეტას.

ამიტომ ვამბობ: ეს არაა ახალგაზრდების ბრძოლა სამომლოსთვის.

ეს არის ჩვენი შვილების სულსა და ხორცზე მონადირე, ძალაუფლებისთვის და ძალაუფლების დახარბეული ერთი მუცა ნაძირალების კარგად შეფუთული და შენიღბული ტყუილი და ფარისეველობა.

ომივადელო იქნება თუ გაუთვითუნებოვრებული, ან პირადი ინტერესებით გონებაარეული ოპონენტი, აქვს გამოხატვა და კვლავ შეეცდება, საპირისპირო დამიშტყვის, ამიტომ მათ გასაგონად გავიმოვრებ: რაც უნდა ცვლილებები მოახდინონ მომიტინგეებმა, აქციის მონაწილეებმა, რა ასაკისაც არ უნდა იყვნენ ისინი, საბოლოოდ მოხდება ის, რომ თუ უფრო დიდი უმედურება არ მოხდა, ევროკავშირის მაგივრად ხელისუფლებისკენ მანიაკურად მიმწრაფი ვაშაქე-გარბია-გახარები და მისთანები ვიკვალავენ გზებს, ხოლო ჩვენს ახალგაზრდებს ის შერჩებათ ხელთ, რომ დარჩებიან

გაგრძელება გვ-9 გვ.



მოარიდეთ ბავშვთა მყლაპვებს!

ველოში, სადაც ეს ბავშვთა მყლაპვები, ოპონენტი და სახელმწიფო ნაცემობის მრავალთავიანი ნარჩენები, ისევე აგრძელებენ დანაშაულს საქმეს – ვეტყვებენ შვილებს.

ყველას კარგად გვახსოვს, სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა უმრავლესობა ახალგაზრდა ასაკის, 17-დან 30 წლამდე ახალგაზრდები იყვნენ, ზოგი მათგანი ქუჩაში ჩაცხრილეს, მავალითად, გირგვლიანი, თითქოს რიტუალურად, – სასაფლაოზე – ზოგი ქუჩაში, ზოგი – ციხეებში, საიდანაც მუცელგამოთვარული გამოჰყავდათ, ზოგი ზღვაში ჩაახრჩვეს, ზოგი მათგანი საერთოდ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

პარალელურად, პატრიოტთა ბანაკებს ქმნიდნენ და ბავშვებს მოუწოდებდნენ: თუ მოგწყინდებათ, გადადით ბუჩქებში და იქ გაერთეთო.

„ნაცემობა“ და მისი ლიდერი პატრიოტთა ბანაკების მოზარდებზე უფრო უმცროსი ასაკისებსაც არ იფრთხილდნენ. საბავშვო ბავშვებიდანვე დაინერგეს სექსუალური „კულტურის“, ანბანის შესწავლის პლაკატების გამოფენა და ე.წ. ზღაპრების მინოღება მათთვის – ევროპაში შევდივართ და ბავშვობიდანვე უნდა მიიღონ ევროპული განათლებაო.

ამას წინათ ერთი, როგორც თვითონ მიიჩნევს, უგზო-უკვლოდ განათლებული კაცი, გაცხცხლე-

რომლებიც, სამხრეთის, მარტო აზროვნებით კი არა, გარეგნობითაც ტყუპებით ჰგვანან ერთმანეთს, ერთხელ არ ამოუღიათ ხმა, ზემოთ რომ ვამბობდი, ნაციონალური რეჟიმის დროს საბავშვო ბავშვებსა და დანაშაულებს სექსობრივი განათლების საკითხების სწავლებასა და „დედაების“ უკუღმეღმეოფის პირველ ნიშნებზე, არც იმაზე, ქართულად წერა-კითხვა რომ არ იცოდა დაწყებითის ბავშვებსა და ინგლისურს რომ აზვირებდნენ. ეს ბატონები და ქალბატონები მაშინ ევროპაში მოგზაურობდნენ, შვილებსაც ევროპაში აგზავნიდნენ და არც იმ ღარიბი, გზაკვალარეული საქართველოს ბავშვების და მოზარდების დასამოძღვრად ეცალათ, რომლებიც ახლა აქციებზე დგანან.

მავრამ ახლა მოუნდათ, ქულები ჩაინერონ, მათი ხელით სურთ, ის ნარი გლიჯონ, რომელიც არათუ გამოაჩენს გზას, არამედ უფრო ჩახერავს მისასვლელს საზოგადოების სხვა ფენებს შორის, ახალგაზრდებსა და ძველგაზრდებს შორის, ეროვნულობასა და კოსმოპოლიტიზმს შორის.

თავისთავად ცხადია, არავინ იცის, კონკრეტულად, რატომ აკეთებენ ამას ზრდასრული ადამიანები – პირადი გამორჩენის, ვითომ პროგრესულობის თუ, საერთოდ,

სიბრიყვის გამო, მავრამ ფაქტი ერთი, მიუხედავად უფროსების ყალბი მხარდაჭერისა, ის ახალგაზრდები, რომლებიც აქციებზე დგანან, ზრდასრულობაში შესვლაამდეც კი, ავერ, სულ მალე, მათაც ისევე დაუშენს ქვეშ, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, როგორც ქუჩებს და შენობებს თავიანთ ქალაქში...

მით უმეტეს, რომ ამ აქციებზე არც ერთი მავნარიდ მოაზროვნე და მოლაპარაკე კაცების და ქალბატონების შეილება ან შეილება არ არსებობს. ისინი ევროპასა და ამერიკაში იღებენ განათლებას და სავარაუდოდ, არც აპირებენ „ჩამორჩენილ“ საქართველოში დაბრუნებას.

ქალაქში რომ გაივლი, შენთვის დიდი ასობით აწერია: ჩვენი მოვიგებთ ომს!

ეს არაა ახალგაზრდების ბრძოლა სამომლოსთვის. ეს არის ჩვენი შვილების სულსა და ხორცზე მონადირე, ძალაუფლებისთვის და ძალაუფლებას დახარბეული ერთი მუცა ნაძირალების კარგად შეფუთული და შენიღბული ტყუილი და ფარისეველობა.

ქართულთა წარმოდგენით ღმერთებისთვის, ნოემბერში ადგილობრივ სოფელში ღმერთებს და ღმერთებს ხელობა და ანთა 28 ნოემბერს თბილისში დასვენებული, ე.წ. ოპოზიციური პარტიების, როგორც ვერ დაიკვირებინათ მოხდენა რაოდენობით, აგრეთვე, კულტურის მოღვაწეთა, ვისაც საზოგადოება არ იცნობს არც გვარ-სახელით და არც რაიმე სხვადასხვა მითითებით დაიწინაურებინათ, შავი პირობები, დაგმობა, დაგმობა, რომ ეს სანახარო გვახსენებდა ვაჟას სიმყვავს, გადმომხედვით ზუსტად რომ გამოხატავს რუსთაველის გაგონება ნაწილს: „მასხურად ესხდნენ ღმერთებს ღმერთებს ღმერთებს“...

მართლაც, ავანსცენაზე გამოეყვანათ მჭყივანა ღმერთები, ხოლო მათი წამქეზებელი, დაყაბულებული „გარმიანული“ პატრონის ხელისბიჭობას, იმყოფებოდნენ ჩრდილში. ყოველივე იყო ამბობდნენ და მაგონებდა 30 წლის წინანდელ პუტჩს უზენაეს საბჭოსა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ოღონდაც, აწინდელი ზღვარგადასული ქმედებები და ძალიანძვირი შეტევა პარლამენტის წინააღმდეგ მაინც გამოიყურებოდა როგორც უნიჭოდ დადგმული ფარსი ლიბერალ-ფემინისტებისა. არც კი მიიქცია, რომ ამ ვაი-ვეროპელთა გაფართობა-ლები ვამო საჯაროდ გამოემართვა საკუთარი აზრი, მაგრამ ყოველგვარ სიავს გადააჭარბა ზურაბიშვილი სალომეს, უკუთ, პარიზელი ხანუმა თავხელობამ. მან გაბედა, იკადრა და მოუწოდა, ქუჩის ძალიანძვირ აქციებზე გამოეყვანათ სკოლის მოწაფეები მაშინ, როცა ნიღბიან ღმერთებს ხელთ ეპყრათ კეტები, კასტეტები, დანები, პისტოლეტები, შურდულები და სამართალდამცველებს ესროდნენ მამხალეებს, ქვეშ, დენთიან ბოთლებს... რა იყო ეს, ქართველი ბავშვების განხრევა, რათა მათი სიცოცხლის ფასად შეენარჩუნებინათ საკუთარი სავარძელი? რა სატანისეული ძალა ჩამუდგებულა ამ არსებში, რომ სამხსვერპლო კრებები წინ გაიგლო ჩვენი შვილები და შვილიშვილები?! ამ კითხვის პასუხი სულაც არ გახლავთ მარტივი და მის ასახსნელად, უპირველესად, საჭიროა ზოგადად თვალის გადავადლოთ ზურაბიშვილი სალომეს ბიოგრაფიას, წარმოვაჩინოთ მისი ცხოვრებისეული გზა, რომელიც დაიწყო დასავლეთი ევროპის ოდესღაც წარმატებული ქვეყნის – საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში.

იგი დაიბადა პარიზში, ქართველი ემიგრანტების ოჯახში, ვინც მთლიან მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდნენ ნაცისტურ გერმანიასთან და ხელს უწყობდნენ,



ვიღრა სალომე ფრანგულ დარქივაბაღში წაბრანდებოდეს!

ნენ, რათა მათ დაეპყრათ საფრანგეთი. ანუ იგი აღიზარდა იმ ქართულ ოჯახში, რომლის წევრებმაც ომის განაღებისთანავე უღალატეს საფრანგეთსა და ფრანგებს, რომლებმაც ისინი შეიკედლეს და თავშესაფარი მისცეს. ეს ხდება მას შემდეგ, რაც თხუთმეტობე წლის წინ საქართველოს ასევე თავს დაესხნენ ქართველი და რუსი ბოლშევიკები და წაართვეს დამოუკიდებლობა!

ისმის კითხვა, ვინც მართლა გულით განიცადა საკუთარი ქვეყნის დაპყრობა, ითანამშრომლებდა თუ არა საფრანგეთის დამპყრობლებთან, სადაც მათ თავშესაფარი ჰქონდა?! აქედან ჩანს, რომ ისინი საქართველოდან გაიქცნენ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის ხელყოფის შიშით და არა პატრიოტული მოტივების გამო. ამიტომაც საკუთრად, ზურაბიშვილ-კვიციანი ოჯახში დღევანდელი თუ არა ეროვნული სული, იყო თუ არა დასადგურებული ქართული ცნობიერება და აზროვნებდნენ თუ არა ამ ოჯახში დაბადებული ბავშვები ქართულად?!

„ენა განუყოფელი ნაწილია აზროვნების, იარაღია აზრთა გაზიარებისთვის და მისი ყოველი აღქმა, ანუ საუბარი არის შემოქმედება“ (გ. ახვლედიანი). ზურაბიშვილი სალომეს მოგზაობის ოჯახში, ჩანს, ქართულად არ აზროვნებდნენ და ქართულ ენაზე საუბარი მათთან არ განიხილებოდა როგორც შემოქმედება. ამიტომაც, რომ მისი მემკვიდრეობით, როგორც ამოკვეთილად არის „ფრანგული“ ქართული, ცხადდება – იგი არ არის აღზრდილი ქართული ცნობიერებით და მისი აზროვნებისთვის უცხოა ქართული საფრანგული ენა. სხ-

ვაგვანად რომ ვთქვათ, იგი, თუმცა 30 იანვარს ქართული მოგზაობის ოჯახში, მაგრამ არ არის სულითა და ცნობიერებით ქართველი. მაშინ, როგორც აზროვნება მთლიან მისი გონი, რომელიც საფრანგული ენა გახდა მისთვის აზრთა გაზიარების იარაღი?!

ბავშვებისადმი მოპყრობა გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება საზოგადოება. ამ მხრივ საკულისხმოა ამა თუ იმ საზოგადოების იდეოლოგიური გზავნილები იმის შესახებ, თუ როგორ განიხილავდნენ ბავშვს, ვითარცა სუბიექტს.

შუა საუკუნეების დასავლეთ-ევროპელთა საზოგადოებრივი აზროვნებისთვის, დასადგურებული იდეოლოგიის მიხედვით, ბავშვი არ წარმოადგენდა ოჯახის



...ევროპელთა აზროვნებაში მოხდებოდა იდეა, რომ ბავშვები გაეზიარებინათ პალესტინური საზოგადოება. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას შეეწინააღმდეგებოდა 30 ათასი ფრანგი და 25 ათასი გერმანელი ყმაწვილი...



მთავარ, შემკვრელ ძალას და იგი აღიქმებოდა ოდენ როგორც „შატარა მოზრდილი“.

როდესაც ზურაბიშვილი ინგლისურენოვან ბავშვებს აზრი იმის შესახებ, რომ სკოლის მოწაფეები უნდა გამოეყვანებინათ ბრძოლის ველზე, მან უწყობდა — მსგავსი საზოგადოება მას არ გაეკვირვებოდა!

იმდენად იყვნენ ერთმანეთთან გაიგივებულნი, რომ, როდესაც მთელ დასავლეთ ევროპაში დაიწყო ნადირობა კუდიანებზე, ჯადოქრობაში „მხილებულ“ „შატარა მოზრდილებს“ ისევე წვავდნენ კოცონზე, როგორც მოზრდილ ალქაჯებს. ამ ინკვიზიციამ ისეთი საშიში სახე მიიღო, რომ ევროპელმა მეფე-მთავრებმა ბოლოს და ბოლოს აკრძალეს გოგონებისა და ბიჭების კოცონზე დანვა, თუკი ისინი იყვნენ, შესაბამისად 12 და 14 წლამდე უფრო მცირე ასაკისანი.

კიდევ ერთი უკიდურესობა, რაც იყო დამახასიათებელი „შატარა მოზრდილის“ ყოფისთვის, გახლავთ მათი სულისა და გონის დამახინჯება ყმაწვილობის ასაკშივე. დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში შექმნილი იყო ახალგაზრდათა თავისებური გაერთიანებები. ეს გახლავთ ყმაწვილთა შეკავშირება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომელნიც ჯგუფ-ჯგუფად აწყობდნენ ე.წ. საეკლესიო სადღესასწაულო მსვლელობებს, თვრებოდნენ და მიმართავდნენ დებოშს, რასაც კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები გაეგებთ ხვდებოდნენ. მეტიც, სასულიერო სფეროს მამანი სწორედ ამ იდეოლოგიით წარმართავდნენ საზოგადოების დამოკიდებულებას „შატარა მოზრდილებისადმი“.

ამგვარი მსოფლალქმის შედეგად ჯვაროსნობის ეპოქის ევროპელთა აზროვნებაში მომხიფდა იდეა, რომ ბავშვები გაეგზავნათ პალესტინაში საბრძოლველად. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას შეეწინააღმდეგებოდა 30 ათასი ფრანგი და 25 ათასი გერმანელი ყმაწვილი,



შუა საუკუნეების ევროპელთა აზროვნების ნაყოფია ზღაპარი „შატარა მოზრდილი“.

„ენა განუყოფელი ნაწილია აზროვნების, იარაღია აზრით განიარაღებისთვის და ანის ყოველი აქტის, ანუ საუბარის არის შემოქმედება“ (პიორგი ახვლედიანი).

უკლებლივ ყველა ბავშვი მინარეში დაახრჩო. ანუ ბავშვებისთვის შეთხუღი ნანარმოების დედააზრი გულისხმობს ბავშვთა მასობრივ მკვლელობას, რაც, თურმე, არის „სამართლიანობის“ აღდგენა. ასეთი იყო შუა საუკუნეებში მონარდილთა ცნობიერება და ამ ცნობიერებითვე ბრძიდებენ მომავალ თაობებს.



როდესაც ზურაბიშვილმა სალომემ ინგლისურენოვან მასშვლადში გააუღერა აზრი იმის შესახებ, რომ სკოლის მონაწიეები უნდა გამოეყენებინა ბრძოლის ველზე, მან უწყობა – მსმენელი საზოგადოება, ვისთვისაც იყო გამიზნული ინტერვიუ, ამის გამო მას არ გაუკვირდა, ამგვარი დამოკიდებულება „პატარა მონარდილებისადმი“ დასავლეთ-აღმოსავლეთ პოლიტიკურ ელიტასა და მათ იდეოლოგიას ბავშვობიდანვე ნაზიარევი ზურაბიშვილის ერთნაირად „ქანსადი“ საქციელი ჰქონიათ. ასეთი აზროვნებიდან ხომ არ მომდინარეობს ის, რომ დასავლეთის რიგ სახელმწიფოებში თანამედროვე „პატარა მონარდილებს“ მშობლების დაუკითხავად სქესს უცვლიან ქირურგიული ჩარევის გზით და ამ სატანისეულ სიბრძნეებს კანონმდებლობა იცავს?!

XIX საუკუნის გავარდინის მონარდიონი საზოგადოება მიუხედავად, იმ მოკალატივულ მმართველთა გამო უნდობლად დარგობადს – სპარსეთის იმ ქალაქის სახელს, რომელიც განთქმული იყო სახელმწიფოს დოქტორით. მართალია, თანამედროვე დასავლეთის ევროპაშიც ყოფილმა დიდმოხელე გორაქომა უნდა ჰუნგლებისგან გამოეჩინებინა, ევროპაშიც არის მონარდიონი და ევროპაშიც არის მონარდიონის ნაწილი. უკმაყოფილოება და მიუღობლობა გლობალიზაციის კოლონიური კურსისა.

დროა, პარიზელი ხანუმა მიგრანდებს თავის ფრანგულ დარქიშვას!

ნილო კაკაბაძე

ნაქაუზაბლები როდის გამოძვრებიან საელაჰიდან?!

მეხუთე გვერდიდან

გამოყენებულები და ბოლოს უგულვებლყოფილები, ზურგმჯექიულები, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა და დატანჯავდა დაუძლეველი ტყუილის, უსამართლობის და წარუმატებლობის საშინელი კომპლექსი.

ამიტომ ვამბობ, რომ ახლა ნაცრეულის დამპალი ნარჩენები ახალგაზრდობის ენერჯით იკვებებიან დრაკულებივით და უსპობენ ბავშვებს არამხოლოდ დღევანდელ დღეს, არამედ მომავალსაც!..

გუშინ ერთ ჩემს ახლობელს შევხვდი.

ახალგაზრდა კაცია, რეჟისორი. აქციების აქტიური მონაწილე.

ყველა აქციას ესწრებოდა და ესწრება, რაც „ნაცმოძრაობის“ შემდეგ მოხდა.

დასაქმებული კაცია.

როგორც ამბობს, თავის რეჟისორულ საქმიანობაში ხელდასაცხ იღებს და პრივილეგიებიც აქვს – დადის ფესტივალებზე ევროპა-ამერიკაში, შემოვლილი აქვს მთელი მსოფლიო; ამას წინათ შეუბნებოდა, რატომღაც მხოლოდ ჩინეთში არ ვარ ნამყოფი.

მოკლედ, ამ ჩემს ბავშვობის მეგობარს ვეკითხები: – აქცია, კარგი, მაგრამ ამდენს რომ ხტუნაობთ,



ახლა ნაცრეულის დამალი ნარჩენები ახალგაზრდობის ენერჯით იკვებებიან დრაკულებივით და უსპობენ ბავშვებს არამხოლოდ დღევანდელ დღეს, არამედ მომავალსაც!..

რუსეთი რომ შემოვიდეს ჯარით, რას იზამთ-მეთქი?

– არ შემოვა.

– და მაინც, რომ შემოვიდეს, რაიმე გეგმა არსებობს? ასეთ რამეებზე აქციებზე ან აქციის გარეთ ლაპარაკობთ?

– არა. – ელიმება.

– ხოდა, რომ შემოვიდეს რუსეთი, ან რაიმე უარესი მოხდეს, რას იზამთ თქვენ, ყველაფერს ისევ

ხელისუფლებას დააბრალებთ? – ვეკითხები.

დაფიქრდა.

– აბა, სხვას ვის დააბრალებთ?

– თქვა ბოლოს და გაიცინა.

მისი ამ უპასუხისმგებლობის და გულგრილობის გამო ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი.

უფრო ცუდი კი ისაა, რომ აქციაზე მყოფთა უმრავლესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, ასეთი ფეხ-

შემიხსენი, ენით აღუწერელი ტრაგედია გუდაურში 14 დეკემბერს დატრიალდა. 12 ადამიანის ცხედარი ნაქიანავე ზინაში აღმოაჩინეს.

გარდაცვლილებიდან 11 უცხო ქვეყნის – ინდოეთის მოქალაქეა, ხოლო ერთი გარდაცვლილი ახალგაზრდა გოგონა ქართველია, 25 წლამდე ასაკის. ის ინდურ რესტორანში იმსახურებდა.

როგორც ირკვევა, ინდოეთის მოქალაქეს ახალი გუდაურის ასახველთან მარსაგვიშვილების კერძო სახლი შეჩინდა ნაქიანავე, სადაც პირველ სართულზე იყო ინდური რესტორანი „შაველი“, მეორე სართულზე კი – რესტორნის თანამშრომლების მოსასვენებელი ოთახები, სადაც ღამით ეძინათ. სწორედ მეორე სართულზე დატრიალდა ეს საშინელი ტრაგედია.

„კერძო სახლია, რომელიც ეკუთვნის მარსაგვიშვილებს, მათ მთლიანად შეჩინდათ გაქირავებული. პირველ სართულზე იყო ეს რესტორანი და მეორეზე – საძინებელი ოთახები. ნუხელ საშინელი ქარიშხალი და სიცივე იყო, ამიტომ გაითიშა ელექტროენერჯია გუდაურში. როგორც ირკვევა, მათ გენერატორი შიდა სივრცეში შეიტანეს და მთელი ღამე ამუშავეს. საუბედროოდ, გამონაბოლქვით არიან გარდაცვლილები, ვერც ერთმა ვერ შეძლო გარეთ გასვლა.“

დილით, ჩვეულებრივად, უკომუნტებით დატვირთული მივიდა მამაკაცი, რომელიც ამ რესტორნის მფლობელია – ფართი შეჩინდა დაქირავებული და ამუშავებდა, არც ერთი თანამშრომელი რომ არ დახვდა რესტორანში, ეტყობა, მოიკითხა ისინი, ავიდა მეორე სართულზე, სადაც მათ ეძინათ და იქ მისულს ეს საშინელი სურათი დახვდა. ორი ახალგაზრდა კართან იყო გარდაცვლილი, ხოლო დანარჩენები თავიანთ საძინებელ ოთახებში ნახეს.

შემთხვევის ადგილზე მივიდა სახლის მეპატრონეც, სამხუხაროდ, 12-ვე გარდაცვლილი იყო. ეს არის უმეღური შემთხვევა და გამომწვეულია იმით, რომ თვითონ სახლის შესასვლელში ედგათ გენერატორი. ეტყობა სციოდათ და დენის გამათბობელი ამ გენერატორზე ჩაურთავთ, გაუღიათ ოთახების კარები, ალბათ იფიქრეს, რომ ასე გათბობდნენ და საუბედროოდ, გამონაბოლქვით მოინამლნენ.

ორმა მათგანმა ეტყობა თავი ცუდად იგრძნო, გაიღვიძეს, მაგრამ ვერ მოახსრეს კარის გაღება და გარეთ გამოსვლა. თითქმის გარეთა კართან იყვნენ მისულები და იქ იყვნენ გარდაცვლილები

საშინელი ტრაგედია გუდაურში



ბი. გულიც არევიდათ ინტელსიკაციის შედეგად. ძალიან განვიცდით ამ ამბავს. ძალიან ვწუხვართ და თანაუგრძობობთ მათი ოჯახის წევრებს. ყველა გარდაცვლილი ახალგაზრდაა, ასაკოვანი არაა იყო. მათ შორის ერთი გოგონა ქართველია, 25 წლამდე ასაკის. მიმტანად მუშაობდა. გარდაცვლილებს შორის არიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცები.

თავიდან ითქვა, რომ თითქოს გაზის გაჟონვის შედეგად დაიღუპნენ, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. იმ სახლის შიდა სივრცეში არაა დამონტაჟებული არც გენერატორი, არც გაზის „ვალვები“, არაფერი მსგავსი. სახლს აქვს ცალკე საქვავი, თუნდაც იმ საქვავებში რომ ჩაერთოთ ეს გენერატორი, რადიატორები ამუშავდებოდა და ეს ტრაგედია არ მოხდებოდა. როგორც ჩანს, არ იცოდნენ, რომ გენერატორის ოთახებში დამონტაჟება და ჩართვა კატეგორიულად არ შეიძლება.

12 ადამიანიდან ერთმა მაინც როგორ არ იცოდა, რომ ეს არ შეიძლებოდა?!



შემდეგაც მათი გადასვენება ინდოეთში მოხდება. როგორც გვითხრეს, რამდენიმე მათგანი საქართველოში სასწავლებლად იყო ჩამოსული და სწავლის პარალელურად, მუშაობდნენ. მომხდარზე გამოძიება უკვე დაწყებულია. შინაგან საქმეთა სამინისტრომაც გაავრცელა ინფორმაცია და ოფიციალური უწყებაც უმეღურ შემთხვევაზე საუბრობს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გუდაურში მომხდარ სავარაუდოდ უმეღურ შემთხვევასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გარდაიცვალა 12 პირი, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. გუდაურში მდებარე ინდური რესტორნის მეორე სართულზე მოწყობილ საძინებელ სივრცეში, ნანახია, სავარაუდოდ, ამავე ობიექტში დასაქმებული 12 ადამიანის ცხედარი.“

გარდაცვლების ზუსტი მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

რუსეთმა აფხაზეთში ტურისტული ტურების გაყიდვა აკრძალა



რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ რუსეთის ტურისტულ სააგენტოს ოკუპირებულ აფხაზეთში ტურების გაყიდვა აკრძალა.

როგორც რუსული მედია იუწყება, ტურების გაყიდვა აფხაზეთში იქამდე იქნება აკრძალული, ვიდრე რუსეთთან საინვესტიციო შეთანხმება არ იქნება რატიფიცირებული.

„ვიდრე აფხაზეთში იმ ნორმების დამტკიცებას ვინც აკრძალავდა, რასაც მათი პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა, აფხაზეთის ბიზნესთან „აღმზრდელი“ საშუალო“ ჩატარდება, ისინი რუსეთიდან ტურისტულ ნაკადს დაკარგავენ, რაც აფხაზეთის შემოსავლის ძირითადი წყაროა“. — განაცხადა რუსეთის ტურიზმის მინისტრის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა არტურ მურადიანმა.

მურადიანის თქმით, ეს აკრძალვა იმ მომენტიდან მოქმედებს, როდესაც აფხაზეთის პროტესტები დაიწყო და 2024 წელს „მისი გაუქმება მოსალოდნელი არ არის“. ამასთანავე, თუ ტურისტი ოკუპირებულ აფხაზეთში საკუთარი ინიციატივით წავა, ამას ვერაფერს ვიქნებით.

ცნობისთვის, ოკუპირებულ აფხაზეთში 15 ნოემბერს აქციის მონაწილეები ე.წ. პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის სასახლეებში შეიჭრნენ და განაცხადეს, რომ ასლან ბუაჩია თანამდებობიდან გადააყენეს. თავად ბუაჩიამ ოპოზიციასთან მოლაპარაკების შემდეგ 19 ნოემბერს განაცხადა, რომ თანამდებობას ტოვებს. რიგგარეშე „საპრეზიდენტო“ არჩევნები ოკუპირებულ აფხაზეთში მომავალი წლის 15 თებერვალს გაიმართება.

მსაჩინო ბიზნესი ნაპოვნად სასაქონლო 2000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა

ალმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიყენებული მსახიობი გიორგი ნაკაშიძე სასაქონლო აღმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.



თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ნინო ენუქიძის გადაწყვეტილებით, გიორგი ნაკაშიძეს 2000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლემ აღმინისტრაციული წარმოება შეწყვიტა წერილობრივ ხელმოწერაზე და ის გაამართლა, თუმცა, სამართალდამრღვევად ცნო პოლიციელის დაუმორჩილებლობაზე.

სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ კინოსა და თეატრის მსახიობები, რეჟისორები და ხელოვანი ადამიანები. მათ შორის, გიორგი ნაკაშიძის მხარდასაჭერად სასამართლოში იმყოფებოდა რეჟისორი ქეთი დოლიძეც. გიორგი ნაკაშიძე 3 დღეკმდგმენს.

რუსთაველის გამზირზე დააკავეს. მას აღმინისტრაციულ სამართალდამრღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას ედავებოდნენ, რაც წერილობრივ ხელმოწერაზე და პოლიციის დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

დანაშაულისთვის 8 წლია პატიმრობა ელის!

საქსპეცსაპრპო-ს საგამომიგბო სამსახურმა, აქციაზე დაკავებული აქტივისტის ს.ქ.-ს პირადი ცხოვრების კადრების სოციალური ქსელით გავრცელების ფაქტზე, 46 წლის მამაკაცი დააკავეს.



სამსახურმა, ინტიმური შინაარსის ვიდეოფაილის სოციალური ქსელით გავრცელებისთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისთანავე, გამოიძიება მისიერად წარმართა.

საქსპეცსაპრპო-ს საგამომიგბო სამსახურის ავტორიტეტს.

უწყების ცნობით, ფაქტზე გამოიძიება გრძელდება. „2024 წლის დეკემბრის დასაწყისში, ბრალდებულმა, სოციალურ ქსელ „Facebook“-ის ყალბი მომხმარებლისგან, დაზარალებულის ამსახველი ინტიმური ხასიათის ვიდეო მითიოვდა და 12 დეკემბერს, მისი დამკვირვების და სახელის შეზღაპრის მიზნით, „Facebook“-ზე ერთ-ერთ საჯარო პოსტზე, რომელსაც ათასობით ნახვა ჰქონდა, კომენტარის სახით ატვირთა და გავრცელება.

საქსპეცსაპრპო-ს საგამომიგბო სამსახურმა, ინტიმური შინაარსის ვიდეოფაილის სოციალური ქსელით გავრცელებისთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისთანავე, გამოიძიება მისიერად წარმართა.

ჩატარებული ოპერატიული და საგამომიგბო მოქმედებების შედეგად დადგინდა იქნა ბრალდებულის ვინაობა და მისი ადგილსამყოფელი. ჩატარდა საცხოვრებელი სახლის და პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ მობილურ ტელეფონში ნანახი იქნა გავრცელებული ვიდეოჩანახები.

ბრალდებული დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. დანაშაული 8 წლიამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, — ნათქვამია ინფორმაციაში.

მოდლოვში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა



მოდლოვის პარლამენტმა, რუსული გაზის მოსალოდნელი შეწყვეტის გამო, 60-დღიანი საგანგებო მდგომარეობის შემოღებას მხარი დაუჭირა, — ინფორმაციას Euro-active-ი ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა 16 დეკემბრიდან ამოქმედდება.

გადაწყვეტილების მიზანი მოლდოვას დენსტრისპირეთის რეგიონის ბუნებრივი გაზის მიწოდების უზრუნველყოფაა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მთავრობას საშუალებას აძლევს, სწრაფად მოახდინოს რეაგირება და შეზღუდოს ენერჯის ექსპორტი. საგანგებო მდგომარეობის

დაწესების შესახებ პრემიერ-მინისტრ ლორინ რეჩანის მოთხოვნას 101-ადგილიან პარლამენტში 56 წევრმა დაუჭირა მხარი. მოლდოვას პრემიერის თქმით, კენჭისყრა აუცილებელი ნაბიჯი იყო მოსკოვის „გაზის შანტაჟის“ დასასრულებლად.

„ვლადიმერ პუტინს სურს, დენსტრისპირეთის მოსახლეობა გაზისა და ელექტროენერჯის გარეშე დატოვოს და მძევლად აიყვანოს. მოსკოვი ამას მოლდოვაში სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის აკეთებს. ეს ზამთარი იყოს უკანასკნელი ქვეყნის ისტორიაში, როდესაც ჩვენ შეიძლება ენერჯეტიკული შანტაჟის ქვეშ ვიყოთ“, — აღნიშნა ლორინ რეჩანმა.

მოლდოვა რუსულ შენებრივ გაზს უკრაინის გავლით იღებს, რომელმაც განაცხადა, რომ კომპანია „გაზპრომთან“ გაზის ტრანზიტზე კონტრაქტს არ გააგრძელებს, ვადა კი 31 დეკემბერს იწურება. ლორინ რეჩანის განცხადებით, უკრაინის გავლით ტრანზიტის საკითხი ხელოვნური პრობლემაა, რადგან რუსული გაზის სხვა მარშრუტების საშუალებით მიწოდებაცაა შესაძლებელი.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემვი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კახაბერ პერტაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე: კახაბერ პერტაია (პ/ნ 39001041286), სენაკი, იოსებ სტალინის №54ე, სართ. 1, ბინა 4
- უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: სენაკი, იოსებ სტალინის №54ე, სართ. 1, ბინა 4 (საკადასტრო კოდი: 44.01.23.102.01.501)
- უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივით ვალდებულებებით.
- უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 45027.96 ლარი.
- აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 16 დეკემბერი, 14:00 საათი.
- აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 30 დეკემბერი, 14:00 საათი.
- აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HWP104253324; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1042533
6. მოვალე: კახაბერ პერტაია (პ/ნ 39001041286), სენაკი, იოსებ სტალინის №54ე, სართ. 1, ბინა 4; მალხაზ პერტაია (პ/ნ 39001030085), სენაკი, იოსებ სტალინის №54ე, სართ. 1, ბინა 4 ჯუღუ პერტაია (პ/ნ 39001040917), სენაკი, ს. ლეძამაძე

ალი კვაშილავა (პ/ნ 39801044872), სენაკი, ს. ლეძამაძე

7. აუქციონის გამოცხადებული სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემვი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემვი პოლიტიკის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HWP104253324; ლოტის ნომერი: 1042533). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 30 დეკემბრის 12:00 საათამდე.

რაჭული ლორი მოსახლეობის „წლის ხარისხ“ წარმოადგენდა და სამუშაოდ წასული რაჭველის შეუცვლელი საგზალი იყო. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ „რაჭველთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ლორის მოვლა-მოშენებას. განსაკუთრებით უვლიდნენ ხალორე ლორებს. დამარილებული ლორის ხორცი კვამლში გამოჰყავდათ და იღებდნენ რაჭულ ლორს, რომელიც მთელ საქართველოშია ცნობილი.“¹⁷

ეს მასალები ეჭვგარეშე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „ლორის გახუჭება, ხორცის დამარილება და შებოღვა, მაცივრის გარეშე ხანგრძლივი შენახვა რაჭველებისათვის უძველეს ტრადიციას წარმოადგენს.“¹⁸

7. შეფუთვა და ნიშანდობა

ტრადიციული რაჭული ლორი მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს შეფუთული ან შეფუთვის გარეშე. ეტიკეტზე პროდუქტის დასახელების აღნიშვნისას გამოიყენება: ქართულად – **ტრადიციული რაჭული ლორი** ინგლისურად – **Traditional Rachuli lori**

თუ ტრადიციული რაჭული ლორი დამზადებულია ენდემური ჯიშის ლორის ხორცისგან, ეტიკეტზე უშუალოდ სურსათის დასახელებასთან ახლოს, მითითებულ უნდა იქნეს ინფორმაცია „დამზადებულია ენდემური ჯიშის ლორის ხორცით“.

ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსახილველი მიკვლევადობის ნიშანი.

ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს, ასევე, ტრადიციული რაჭული ლორის ლოგო.



ბაზარზე განთავსებული და რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნით ნიშანდობული ტრადიციული რაჭული ლორის ეტიკეტის წინა მხარეს უნდა განთავსდეს შესაბამისი ოფიციალური სიმბოლო. ხედვის იმავე არეალში უნდა განთავსდეს საქონლის რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა. ეტიკეტზე შეიძლება განთავსდეს აგრეთვე წარწერა „რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა“.

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის „ტრადიციული რაჭული ლორის“, როგორც სურსათის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ და „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8. მაკონტროლებელი ორგანოები

ტრადიციული რაჭული ლორი დამზადებული ტრადიციული მეთოდით და წინამდებარე სპეციფიკაციების მიხედვით, წარმოადგენს ტრადიციულ, არტიზანულ, გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით №173 – ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის/ცხოველის საკვების პიფების გამარტივებული წესით“ დადგენილი მოთხოვნები.

ტრადიციული რაჭული ლორის სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენტური ორგანო – სურსათის ეროვნული სააგენტო ან მაკონტროლებელი ორგანო – იურიდიული პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება და რომელიც აკრედიტებულია საქართველოს ან ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოს მიერ.

„ტრადიციული რაჭული ლორის“ მწარმოებლების გაერთიანება, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „ტრადიციული რაჭული ლორის“ ხარისხის, რეპუტაციისა და ავთენტურობის უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებს ბაზარზე განთავსებული საქონლის სახელის გამოყენების მონიტორინგს და ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ქმედებებს.

**ადგილწარმოშობის დასახელება
ლაჩხუმი**

განაცხადის № 3519/6
განაცხადის შეტანის თარიღი: 13/03/2023
ადგილწარმოშობის დასახელება: „ლაჩხუმი“
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია – ღვინო
განმცხადებლის სახელი და მისამართი: სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159, თბილისი, საქართველო

- 1. დასახელება: ღვინო
- 2. დამატებითი აღნიშვნები:
- 3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები
ღვინო „ლაჩხუმი“ მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს თეთრი და ქარვისფერი.
ღვინო „ლაჩხუმი“ თეთრი მშრალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი – ღია ჩალისფრიდან ჩალისფრამდე;
 - არმატი და გემო – ინტენსიური, ყვითელი ხილის, კერძოდ, მსხლის და მწიფე ვაშლის, ასევე, ციტრუსის ტონები. გემოზე ხავსე, დახვეწილი, ხალისიანი მჟავიანობით, დავარგებისას ღვინოს უვითარდება მშრალი ბალახების და ჩირების არმატი;
 - ფაქტორივი მოცულობითი სპირტ შემცველობა არ უნდა იყოს 11.0 %-ზე ნაკლები;
 - შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4,0 გ/ლ-ს;
 - ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-სზე ნაკლები;
 - აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1.0 გ/ლ-ს;
 - დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16,0 გ/ლ-ზე ნაკლები;
 - გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 200,0 მგ/ლ-ს;
 - სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“).
- ღვინო „ლაჩხუმი“ ქარვისფერი მშრალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**
- ფერი – მუქი ქარვისფრიდან ჩალისფრამდე;
 - არმატი და გემო – გემოზე ხავსე, ექსტრაქტული, საშუალო მჟავიანობით და გამოსატყუი ტანინით, კურკოვანი ხილის (ქლიაივი, გარგარი) ჩირის არმატით, დავარგებისას უვითარდება ლიქორის და კურკოვანი ხილის მურაბის არმატი;
 - ფაქტორივი მოცულობითი სპირტ შემცველობა არ უნდა იყოს 11.0 %-ზე ნაკლები;
 - შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4,0 გ/ლ-ს;
 - ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 4 გ/ლ-ზე ნაკლები;
 - აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1.2 გ/ლ-ს;
 - დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 20,0 გ/ლ-ზე ნაკლები;
 - გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 150,0 მგ/ლ-ს;
 - სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“).
- 4. წარმოების გეოგრაფიული ადგილი და ზონები**
- ღვინო „ლაჩხუმი“ მიკროზონა მდებარეობს ღვინოში და მოიცავს ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული რიონის, ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობების მკვეთახეობისათვის ხელსაყრელ ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების არეალს.
- 5. ვაზის ჯიშები**
- ღვინო „ლაჩხუმი“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ შესაბამისი მიკროზონაში მოწეული ცოლიკოურის ჯიშის ყურძნიდან. დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.
- 6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა**
- ღვინოში მიკროზონაში ღვინო „ლაჩხუმი“ განკუთვნილი სამწარმოო ვენახები გაშენებული უნდა იყოს 400-800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან;
 - ვენახის რიგთა შორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან – 2,5 მეტრამდე;
 - ვაზთა შორის მანძილი რიგში – 0,8-1,5 მეტრი;
 - შტამბის სიმაღლე – 60-90 სმ;
 - სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული ან თავისუფალი.
 - ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისგან, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული ავტორიტეტული ღვინისმეცნიერების რეკომენდაციების შესაბამისად.
- 7. ყურძნის სიმწიფე, რთველი და ტრანსპორტირება**
- ღვინო „ლაჩხუმი“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შაქრიანობა კრევის დროს არ უნდა იყოს 19 %-ზე ნაკლები. ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჰანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური სადებავით შედგენილი ძარებით.
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება.
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.
- 8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი**
- ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას; ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:
- 650 ლიტრს – ერთი ტონა ყურძნიდან;
 - 6500 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან.
- 9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა**
- „ლაჩხუმი“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ღვინის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.
- ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ბოთლებში ჩამოსხმა დასაშვებია მხოლოდ ღვინის მიკროზონის ფარგლებში.
- ღვინო „ლაჩხუმი“ მზადდება თვითნაღვნი ტკბილის სრული ალკოჰოლური დუდილის გზით.
- ღვინო „ლაჩხუმი“ ქარვისფერი მშრალი მზადდება ქვევრში (ჭურში) ღურდოს სრული ალკოჰოლური დუდილის გზით. ამასთან, ჭაჭა-კლერტის შემცველობა ღურდოში უნდა იყოს 5-6 %-ის ფარგლებში. ალკოჰოლური დუდილის დამთავრების შემდეგ, ქვევრს გადაავსებენ ანალოგიური ღვინით და დაყოფენ ღურდოზე არანაკლებ იმავე წლის 31 დეკემბრისა.
- „ლაჩხუმი“ წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის № 524 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.
- სამომხმარებლო ბაზარზე „ლაჩხუმი“ გატანა დასაშვებია მხოლოდ შუშის ბოთლებში დაფასოებული სახით.
- 10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის**
- კლიმატი** – ხასიათდება ნოტიო კლიმატით, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 1750-1900 საათია. პაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა +11,4°C. ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა 22,2°C, ყველაზე ცივი თვისა (იანვარი) კი – 0°C.
- სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 209 დღეა. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 3700–3900°C.
- მოსული ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 1100 მმ-ია.
- სეტყვიან დღეთა რიცხვი სავეგეტაციო პერიოდში 0,8-ს უდრის (ცაგერი). სეტყვა შედარებით ხშირად მაისში და ივნისში მოდის.

17 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8., გვ. 312.
18 ი. შუმთორი – მელორეობა და ლორის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, 2009.

მიკროზონის სამივე ხეობის მერიდიანული მიმართულების გამო, ქარები უმთავრესად ხეობის გასწვრივ ქრის. ისინი მიეკუთვნება სუსტად მოქმედი ქარების III ჯგუფის რაიონებს.

წიაღები – ძირითადად წარმოდგენილია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც მაღალი ხორხატიანობით გამოირჩევიან. მცირედ ხორხატიანი და უხორხატი ნიადაგები გვხვდება უმეტესად მერგულზე. მცირე რაოდენობით გვხვდება, აგრეთვე, დელუვიური და ყოშრალი ნიადაგები.

მექანიკური შემადგენლობით ნიადაგები, ძირითადად, მძიმე თიხნარებსა და თიხნარებს შეეკუთვნება.

ჰუმუსის შემცველობა ამ ნიადაგებში მცირე მანქნებით ხასიათდება და აქტიურ ფენაში საშუალოდ 2,5-1,5%-ის ფარგლებშია.

ნიადაგის არეს რეაქცია ძირითადად ნეიტრალურია.

ადამიანური ფაქტორი – მიუხედავად იმისა, რომ ლეჩხუმში ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონად საქართველოში, ისტორიული ცნობები მათ შესახებ საკმაოდ მწირია. ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს მიხედვით შეიძლება დაეასკენათ, რომ მეურნეობის ეს დარგები ძველთაგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ამ მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამაზე მიუთითებს ვახის ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნება და, აგრეთვე, მეღვინეობის იმ პროდუქტთა სიმრავლეც, რომლებსაც აქაური მაცხოვრებლები ამზადებდნენ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

ლეჩხუმში 1950-ანი წლებიდან დარგის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო ტვიში, ოქურეში, ორბელსა და ცაგერში იმ დროისათვის საკმაოდ თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის პირველადი ღვინის ქარხნების ამოქმედებამ, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია დარგის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ლეჩხუმის მეღვინეობას დიდი დავალი დასდეს ადგილობრივმა მეღვინეებმა: მიხეილ კვიციანი, ტარიელ გუგაევი, შორა ჩახჩიანი, ჯემალ ახვლედიანი, აკაკი მოწონელიძე, ჯეორჯი ნაკვეტაძე და სხვებმა.

ხემოსსენებელი ქარხნების მიერ საბჭოთა პერიოდში წარმოებული ღვინის „ლეჩხუმის“ ბოთლებში ჩამოსხმას აღწერს ნათქვამი ჩამოსხმელი ქარხანა.

ამრიგად, სხენებული მიკროზონის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა, მდინარეების – ცხენისწყლის, ლაჯანურისა და რიონის ხეობების დაქანებულ ფერდობებზე შექმნილი მიკროკლიმატი, ნეშომპალა-კვარცხეთა და კირქვებით მდიდარი ხორხატიანი ნიადაგები, სითბოს შთანთქმის მაღალი უნარი, საკმაოდ მაღალი აქტიურ ტემპერატურა ჯამი, აგრეთვე, ზაფხულის მაღალი ტემპერატურა, შემოდგომის ცხელი დღეები და ცივი ღამეები უზრუნველყოფს შაქრების კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას. ეს ყველაფერი დადებითად აისახება ღვინის არომატსა და გემოზე და ანიჭებს მას ყვითელი ხილის, კერძოდ, მსხლისა და მწიფე ვაშლის, ასევე, ციტრუსის ტონებს, დახვეწილობას, ხალისიან მჟავიანობასა და სისხავსეს გემოზე.

11. გარდაამავალი დებულებები

ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ბოთლებში ჩამოსხმა დასაშვებია ლეჩხუმის მიკროზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე 2025 წლის 1 დეკემბრამდე.

12. ეტიკეტების განსაკუთრებული წესები

დასახელება „ლეჩხუმი“ და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო“ ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე, ღვინის თანმხლებ ლოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

- ქართულად – ლეჩხუმი
- დაცული ადგილწარმოშობის დასახელება ინგლისურად – Lechkhumi
- Protected Designation of Origin an/da PDO
- რუსულად – Лечхуми
- Защищённое наименование места происхождения

13. აღრიცხვა და შეტყობინება

„ლეჩხუმის“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის №2-78 ბრძანებით დამტკიცებული „მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესის“ შესაბამისად.


14. ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ლეჩხუმის“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვახის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ დონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი. შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთვლის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთვლის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთვლის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლექტიკური მახასიათებლები	სადგეუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევალობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

15. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო

წარმოების სპეციფიკაციის დაცვისა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის №2-1008 ბრძანებით დამტკიცებული „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმლის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმლის წარმოების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.



ადგილწარმოშობის დასახელება რაჭა

განაცხადის № 3571/6
განაცხადის შეტანის თარიღი: 24/09/2024
ადგილწარმოშობის დასახელება: „რაჭა“
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია – ღვინო

განმცხადებლის სახელი და მისამართი: მევენახეთა ასოციაცია „ხვანჭკარა“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭრებალო

- 1. დასახელება: რაჭა
- 2. დამატებითი აღნიშვნები
- 3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები

- რაჭა – წითელი მშრალი ღვინოა.
- ღვინო „რაჭა“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ფერი – ღია ლალისფრიდან მუქ ლალისფრამდე;
 - არომატი და გემო – გემოზე ხავსე, ექსტრაქტული, დახვეწილი, ხალისიანი მჟავიანობით, კენკროვანი (ჟოლო, წითელი მოცხარი) და კურკოვანი წითელი ხილის (აღუბალი) არომატი, დავარგებისას უვითარდება ლაქიორის და კენკროვანი ხილის მურაბის არომატი.
 - ფაქტობრივი მოცულობითი სპირტ შემცველობა არ უნდა იყოს 11.5 %-ზე ნაკლები;
 - დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
 - შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
 - ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
 - აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1.2 გ/ლ-ს;
 - გლობრდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 მგ/ლ-ს.

სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.

4. წარმოების გეოგრაფიული ადგილი და ზონები

რაჭის მიკროზონაში, ონისა და ამბროლაურის გარდა, შედის ამ ორი მუნიციპალიტეტის სოფლები: ხვანჭკარა, წესი, კვაცხუთი, საღმელი, დვიარა, ბოსტანა, დიდი ნორჯო, პატარა ნორჯო, მეორე ტოლა, პირველი ტოლა, ჭრებალო, ქვემო ჭყვიში, ზემო ჟოშხა, ქვემო ჟოშხა, ქვიშარი, დვარდია, ბარეული, ღაღიში, ბაჯი, ბუგეული, საკეცია, ჯვარისა, იწა, ქვემო კრხი, ახალსოფელი, გორი, ხიმში, აბანოეთი, ძირაგეული, მუხლი, ნიგუხარა, ზუღალი, შარდოშეთი და სორი.

5. ვახის ჯიშები

ღვინო „რაჭა“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ რაჭის მიკროზონაში მოწეული აღქსანდროლის და მუჯურეთის ჯიშის ყურძნიდან. დასაშვებია 15%-მდე, ჯამურად, ამავე მიკროზონის კაბისტონის, ძელშავის და საფერავის ჯიშების გამოყენებაც.

6. ვენახის გაშენება, სხელა ფორმირება და მოვლა

- რაჭის მიკროზონაში ღვინო „რაჭისთვის“ განკუთვნილი სამრეწველო ვენახები გაშენებული უნდა იყოს 450-800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან;
- ვენახის რიგთა შორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 2,5 მეტრამდე;
- ვახთა შორის მანძილი რიგში 0,8-1,5 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე – 60-90 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

ვენახის გაშენება, მისი გასხელა-ფორმირება და მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური დონისძიებების შესაბამისად.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

ღვინო „რაჭა“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნიდან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები. ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტიკის ყუთებით, რომელთა ტევადობა არ აღემატება 40 კგ-ს. ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.



ბადრი ქუთათელაძე


ქართველებო, ერთმანეთი დაგინდოთ!

ფუი, ეშმაკს, (ეშმაკები გვაზის მხრებზე) ქართველებო, ერთმანეთი დაგინდოთ! სანამ მეფობს ჩვენს სულელებში თამარ მეფე, სანამ ჩვენში დავით მეფე დავითობს... ფუი, ეშმაკს, (ვინ დაგვწყევლა?) ასე გულით, ძმა ძმის აუგს მთელს ქვეყანას გაჰკვივის, ბევრი გვექონდა სისხლიანი გაზაფხული, შემართება იყო ეს ცხრა აპრილი! ...მაგრამ, ძმებო, ბაზალეთი გვეტკივა მეტად (ძმა ძმისაკენ სასიკვდილოდ მიიწევს) და ქართველი

ქართველისგან ისევე კვდება, ხატს და მირონს, ჭიშს და ჭილაგს ივიწყებს... ფუი, ეშმაკს, (ღმერთი ჩვენთვის აღარ იცლის) უცხო ტომი ხელეებს ითბობს ლადარზე... ქართველებო, ახლა უნდა დავდეთ ფიცი, თუ გვინდა, რომ მომავალი გადარჩეს... ფუი, ეშმაკს, (ეშმაკები გვაზის მხრებზე...) ქართველებო, ერთმანეთი დაგინდოთ! სანამ მეფობს ჩვენს სულელებში თამარ მეფე, სანამ ჩვენში დავით მეფე დავითობს!

„კოლა, დელოვალ ანას სიუზილოდ“!

ანა კალანდაძის 100 წლის საიუბილეოდ, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, გამოიცა ალბომი: „შენ ისე ღრმა ხარ“... ინფორმაციას უზრუნველყოფს პაატა ნაცვლიშვილი ავრცელებს ფეისბუქის გვერდზე. ალბომში გამოქვეყნებულია ანა კალანდაძის 100 ლექსი და ბადრი ვადაჭკორიას 200 ფოტო.



... „ჰოდა, ერთი შეხედვით თითქოს არც ანა კალანდაძეს სჭირდება ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები და არც ბადრი ვადაჭკორიას სჭირდება ანა კალანდაძის ლექსები, რადგან ორივე თვითკმარია და საუკეთესო თავთავის სფეროში, მაგრამ ანა,

ერთადაც ნახეთ! ჰოდა, ისინი ერთად არიან წარმოდგენილი ანა კალანდაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ ალბომში – „შენ ისე ღრმა ხარ“ ჰოდა, ეს წიგნი ამ საღამოს მომიტანა ბადრი ვადაჭკორიამ. ალბომში ანა კალანდაძის ასი ლექსია შესული და თითოეული მათგანი ბადრი ვადაჭკორიას ორ-ორი ფოტოთა დაფორმებული. ჰოდა, სწორედ დღეს, 15 დეკემბერს არის ანა კალანდაძის დაბადების დღე. და ეს წიგნი დიახაც მშვენიერი საჩუქარია ქართული პოეზიის მოყვარულთათვის. და არა მხოლოდ მათთვის“...

უხსოვრი ვალუტის კურსი:
 აშშ დოლარი - 2.8448; ევრო - 2.9842;
 ბრიტანული გირანძახ სტერლინგი - 3.5961;
 100 რუბლი - 2.7304; თურქული ლირა - 0.0814;
 აზერბაიჯანული მანათი - 1.6730;
 1000 სომხური დრამი - 7.2341.

ხვალ ბარბაროზა, გილოცავთ!

17 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სა-მოციქულო ეკლესია დიდმოწამე ბარბარეს იხსენიებს.

წმინდა დიდმოწამე ბარბარე ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი წმინდანია ქართველი ხალხისა. ასეთი გამორჩეულობა შესაძლოა მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოსაა ჩვენს, ქართულ ხასიათთან.

...უამრავი ხალხური ტრადიციებიდან გამომდინარე ქრისტიანული კონტექსტიდანაც ამოვარდნილი არ არის. მაგალითად ლობიანეზის გამოცხობა (რადგან შობის მარხვას!) ბარბარობის დღეს, ასევე ბავშვების დარიცხვა, რომ თუ კარგად მოიქცევიან, მათ დიდმოწამე ბარბარე შეეწვევა, ან წმინდა ბარბარესვე ვევედრებით, უზიარებლად




არ გავუმგავროთ სასუფეველში ამიტომაც გამოიხატება წმინდა ბარბარე იკონოგრაფიაში ბარძიშით...

გიული ლიპარტია

ბუჯი ამაშუკელის ჯვარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში

რწმუნს ვიუწყებოდით, საფრანგეთში პარიზის ღვთისმშობლის განახლებული ტაძრის გახსნაზე ქართველი მოქანდაკისა და ოქრომჭედლის გუჯი ამაშუკელის მიერ დამზადებული სანთნამძღვრო ჯვარი გამოაბრძანეს. ქართველ ხელოვანს პარიზის



ღვთისმშობლის ტაძრისთვის დამზადებული აქვს მოსანათლი ეშმაგი.

გუჯი ამაშუკელის მიერ პარიზის ტაძრისთვის შექმნილი ლიტურგიისთვის აუცილებელი 17 ნივთი სახელმწიფომ ეროვნულ საგანძურად აღიარა.

ქართველი ოქრომჭედლის დამზადებული სამკაულები და მითოლოგიურ-რელიგიურ თემებზე გამოქანდაკებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები მსოფლიოს ცნობილი მუზეუმებისა და კერძო კოლექციონერების საკუთრებაა.

მაჩაბლოა ღვთისმშობლის სოფალი

14 დეკემბერს, წერეთლის კულტურის სახლში, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, დიდი ქართველის, შექსპირის უბადლო მთარგმნელისა და პუბლიცისტის – ივანე მაჩაბლის საიუბილეო საღამო გაიმართა. ივანე მაჩაბლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს თარგმნელში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ ახლად გამოცემული ალბომის – „ივანე მაჩაბელი. გზა ევროპისკენ“ წარდგენა შედგა.

ბუჯი ამაშუკელის ჯვარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში

სიმბოლოა, რომ ის 18 წლის ასაკში მეთვრამეტე მსოფლიო ჩემპიონია ჯადრაკში. დომარაჯუმი დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი ჩინეთიდან ლინგ ლიუენი. შეხვედრა სინგაპურში გაიმართა. საპრიზო ფონდი 2,5 მილიონ დოლარს შეადგენდა.



დომარაჯუმი 12 წლის ასაკში გახდა გროსმაისტერი და ყოველთვის ოცნებობდა ჩემპიონობაზე. მისი მშობლები ექიმები არიან. მამა ქირურგია, დედა კი – მიკრობიოლოგი.

„თავიდან მე უბრალოდ ვადევნებდი თვალს, თუ როგორ თამაშობდნენ ჯადრაკს ჩემი ოჯახის წევრები, როგორც უბრალოდ შობი, როგორც ნებისმიერი სხვა სამავილო თამაში. თუმცა, შემდეგ მე დავინტერესდი

Mango-ს დამფუძნებელი 150-მეტიანი სრამში გადავიდა...

მსოფლიო მოდის ცნობილი ბრენდის, Mango-ს დამფუძნებელი 71 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. მსოფლიო მოდის ცნობილი ბრენდის, Mango-ს დამფუძნებელი, ისაკ ანდუკი ბარსელონასთან მდებარე მღვიმეების დალაშქვრისას გარდაიცვალა. ესპანეთის მთავრობის წარმო-

მადგენლებმა ანდუკის დაღუპვის გამო მწუხარება გამოთქვეს. ანდუკმა Mango 1984 წელს, თავის ძმასთან ერთად დააარსა. ბრენდი დღეს 120 ქვეყანაში, 3000 მაღაზიითაა წარმოდგენილი. Forbes-ის შეფასებით, ანდუკის ქონება 4,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.



გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულაია** (599-36-00-35);
 რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),
 შემოქმედებითი ჯგუფი: **ალექო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, თათარ ტურაბელოძე, გია პლატონიშვილი,**
 პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულაია** (577-77-27-17),
 სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კვეციანი, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**
 დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**
 გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეშიძე**

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ **ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზეჭილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალები, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იხილეთ სტამბა
„კოლორი“
 ვ. ბაღდავაძის №3
კოლორი
 ჯგუფი
 UAC(უაპ)070.4(479.22)
 C-323
 2 009882 616932

რეკლამისთვის დაგვიკავშირდით:
577-77-27-17
 rkobulia29@gmail.com
 ანგარიშის ნომერი
 GE90BG000000538329790

გაზეთის მომწოდებელი
ნომერი
გამოცა
ოთხშაბათს,
18 დეკემბერს